1965/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 27 (296) 5 ოქტომბერი 1965 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

### განყოფილება პირველი

543. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გამბიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. ი. ეროფეევის დანიშვნის შესახებ.

544. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 4 მარტის ბრძანებულება „მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულთა და სამხედრო დანაშაულთა ჩამდენი პირების დასჯის შესახებ მიუხედავად იმისა, რომ როდის არის ჩადენილი ეს დანაშაულები".

545. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 34-ე მუხლის განმარტების შესახებ.

546. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში წარგზავნილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ა. ფომინის გათავისუფლების შესახებ.

547. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ს. მიხაილოვის დანიშვნის შესახებ.

548. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მასწავლებლის დღის" ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ.

### განყოფილება მეორე

549. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ვ. ჩერვონენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

550. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

551. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საავიაციო ტექნიკის მფრინავ-გამომცდელებისა და შტურმან-გამომცდელებისათვის „სსრ კავშირის დამსახურებულ მფრინავ-გამომცდელის" და „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმან-გამომცდელის" საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

552. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. ნესტერენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
553. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმსკომთან არსებული „გლავლენინგრადსტროის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
554. ბრძანებულებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. კ. ბლოხინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
555. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის უმცროს სერჟანტ ვ. პ. კუკლინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
556. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. კუზნეცოვასა და ამხ. პ. ი. კუზნეცოვის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
557. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. კებინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
558. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ს. გორიაჩევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
559. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. თ. როსტოვცევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
560. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვოლგა-ვიატკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ი. ვ. კალინინის სახელობის ჩერნორეჩენსკის ქიმიური ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
561. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. საბჭოთა კავშირის მარშალ ა. მ. ვასილევსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
562. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. ტ. პოპლიოვკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
563. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. პ. გორიუნოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კატრიელ კაცმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

564. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წყალტუბოსა და ამბროლაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ სასოფლო და სადაბო საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ.
565. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარების შესახებ.
566. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბავშვთა სარჩენი სახსრების (ალიმენტის) გადახდევინების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ.
567. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხობის რაიონის ქარიატის სასოფლო საბჭოდან სოფელ ყულევის გამოყოფისა და ყულევის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.
568. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თერჯოლის რაიონის ტყიბულჰესის მუშათა დასახლების გაუქმების შესახებ.

569. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს [illegible] ქარელის რაიონის აბისის სასოფლო ასბჭოდან სოფლების ფცის, თამარაშენის და ღოღეთის გამოყოფისა და ქვენატკოცის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

570. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეიზდიუმისა საქარათველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

## განყოფილება მეორე

571. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

572. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. გ. შუშანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

573. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. გ. კობალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

574. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიმუისა ამხ. შ. ვ. ეგნატაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

575. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რიგის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

576. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

577. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**543 გამბიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. ი. ეროფეევის დანიშვნის შესახებ**

სენეგალს წარგზავნილი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვლადიმერ ივანეს ძე ეროფეევი დაინიშნოს გამბიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად შეთავსებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 25 აგვისტო.
№ 3865-VI.

### დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**544 იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 4 მარტის ბრძანებულება „მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულთა და სამხედრო დანაშაულთა დასჯის შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ როდის არის ჩადენილი ეს დანაშაულები“**

სასამართლოს, პროკურატურის და სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა შეკითხვებთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის კონსტიტუციის 49-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ის ნაწილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 4 მარტის ბრძანებულებისა „მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულთა და სამხედრო დანაშაულთა ჩამდენი პირების დასჯის შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ როდის არის ჩადენილი ეს დანაშაულები“, რომელიც ეხება ხანდაზმულობის გამოყენებას და სასჯელის დანიშვნას, თვით სიკვდილით დასჯასაც კი (როგორც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 41-ე მუხლის გამონაკლისი), ვრცელდება იმ საბჭოთა მოქალაქეებზე, ვინც 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში ეწეოდა აქტიურ დასჯით საქმიანობას, პირადად მონაწილეობდა საბჭოთა ადამიანების მკვლელობასა და ტანჯვაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 სექტემბერი.
№ 3894-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 545 სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 34-ე მუხლის განმარტების შესახებ

იმ შეკითხვებთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიყენონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 34-ე მუხლის ის ნაწილი, რომელიც ეხება აღკვეთის ღონისძიებად იმ პირის პატიმრობაში ყოფნის ვადის გამოთვლას, ვისი საქმეც სასამართლომ ხელახლა გამოსაძიებლად დააბრუნა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ სსრ კავშირის კონსტიტუციის 49-ე მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 34-ე მუხლით გათვალისწინებულია აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობაში ყოფნა მოკვლევის და წინასწარი გამოძიების პერიოდში. ამ ვადაში არ უნდა ჩაითვალოს საპროცესო კანონით დადგენილი ის დრო, როცა საქმე სასამართლოშია, თუ პირველი ან საკასაციო ინსტანციის სასამართლომ განხილვის შედეგად საქმე არ დააბრუნა ხელახლა გამოსაძიებლად. იმ შემთხვევაში, როცა განაჩენი გაუქმებულია სასამართლო ზედამხედველობის წესით, მოკვლევის და წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის დროს ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადა უნდა გამოითვალონ სასამართლოს განჩინების ან დადგენილების გამოტანის დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 სექტემბერი.

№ 3895-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 546 ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში წარგზავნილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ა. ფომინის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ანდრია ანდრიას ძე ფომინი ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში წარგზავნილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 სექტემბერი.

№ 3967-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 547 ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ს. მიხაილოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სერგი სერგის ძე მიხაილოვი ბრაზილიის შეერთებულ შტატების რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 სექტემბერი.

№ 3968-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 548 „მასწავლებლის დღის" ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაწესდეს დღესასწაული „მასწავლებლის დღე".

„მასწავლებლის დღე" ყოველწლიურად აღინიშნოს ოქტომბრის თვის პირველ კვირადღეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 29 სექტემბერი.

№ 3987-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 549 ამხ. ს. ვ. ჩერვონენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში წარგზავნილი საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სტეფანე ვასილის ძე ჩერვონენკო დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 15 სექტემბერი.

№ 3960-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 550 ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სომხური თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 16 სექტემბერი.

№ 3961-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 551 საავიაციო ტექნიკის მფრინავ-გამომცდელების და შტურმან-გამომცდელებისათვის „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავ-გამომცდელის“ და „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმან-გამომცდელის“ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ახალი საავიაციო ტექნიკის გამოცდისა და გამოკვლევის დარგში მრავალი წლის შემოქმედებითი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

„სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავ-გამომცდელისა“

1. პოლკოვნიკ ევგენი ალექსანდრეს ძე კლიმოვს.
2. პოლკოვნიკ ვლადიმერ კუზმას ძე პოდოლნის.
3. პოლკოვნიკ ალექსი გიორგის ძე სოლოდოვნიკოვს.

„სსრ კავშირის დამსახურებული შტურმან-გამომცდელისა“

1. პოლკოვნიკ ვლადიმერ სერგის ძე მონახოვს.
2. პოლკოვნიკ ალექსი მაქსიმეს ძე ხალიავინს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 17 სექტემბერი.

№ 3962-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 552 ამხ. ა. ე. ნესტერენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. ალექსი ეფრემის ძე **ნესტერენკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 20 სექტემბერი.
№ 3965-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 553 ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული „გლავლენინგრადსტროის" ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და სამშენებლო წარმოების დარგში მოპოვებული მიღწევებისათვის ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ქალაქ ლენინგრადის საბინაო, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის მთავარი სამმართველო — **„გლავლენინგრადსტროი"** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 20 სექტემბერი.
№ 3966-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 554 ამხ. ნ. კ. ბლოხინის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ასტრახანის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **ბლოხინი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 სექტემბერი.
№ 3970-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 555 მილიციის უმცროს სერჟანტ ვ. პ. კუკლინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თავგანწირული მოქმედებისა და მამაცობისათვის საშიში დამნაშავის დაკავების დროს მილიციის უმცროსი სერჟანტი ვალენტინ პეტრეს ძე კუკლინი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 23 სექტემბერი.
№ 3972-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 556 ამხ. ა. გ. კუზნეცოვასა და ამხ. პ. ი. კუზნეცოვის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩადენილი პატრიოტული საქციელისათვის დაჯილდოვდნენ:

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით

ალექსანდრა გრიგოლის ასული კუზნეცოვა.
პეტრე ივანეს ძე კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 23 სექტემბერი.
№ 3973-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 557 ამხ. ი. გ. კებინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ივანე გუსტავის ძე კებინი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 23 სექტემბერი.
№ 3975-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 558 ამხ. თ. ს. გორიაჩევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დკავშირებით სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ნოვოსიბირსკის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. თევდორე სტეფანეს ძე **გორიაჩევი** დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 23 სექტემბერი.

№ 3976-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 559 ამხ. ნ. თ. როსტოვცევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ზოოტექნიკური მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი, ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის მეცხოველეობის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ნიკიტა თევდორეს ძე **როსტოვცევი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 24 სექტემბერი.

№ 3977-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 560 ვოლგა-ვიატკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ი. ვ. კალინინის სახელობის ჩერნორეჩენსკის ქიმიური ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოპოვებული საწარმოო წარმატებებისათვის ვოლგა-ვიატკის სახალხო მეურნეობის საბჭოს **ი. მ. კალინინის სახელობის ჩერნორეჩენსკის ქიმიური ქარხანა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 24 სექტემბერი.

№ 3978-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 561 საბჭოთა კავშირის მარშალ ა. მ. ვასილევსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოსა და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მარშალი ალექსანდრე მიხეილის ძე **ვასილევსკი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 29 სექტემბერი.
№ 3985-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 562 ამხ. ტ. ტ. პოპლიოვკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით უკრაინის კომუნისტური პარტიის ნიკოლაევის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ტროფიმე ტროფიმეს ძე **პოპლიოვკინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 სექტემბერი.
№ 3988-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 563 ამხ. დ. პ. გორიუნოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პრესის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საკდესის გენერალური დირექტორი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ამხ. დიმიტრი პეტრეს ძე **გორიუნოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 სექტემბერი.
№ 4021-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კატრიელ კაცმა

საბჭოთა კავშირს წარმოგზავნილმა ისრაელის სახელმწიფოს ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კატრიელ კაცმა 22 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს პირველი მდივანი დ. ბარტოვი, მეორე მდივნები ი. გოვრინი, მ. ზიმრატი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემისას ა. ი. მიქოიანმა და კატრიელ კაცმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

საუბარში, რომელიც ა. ი. მიქოიანსა და კატრიელ კაცს შორის რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ გაიმართა, მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მოპოვებული საწარმოო წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ვოლგა-ვიატკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩერნორეჩენსკის მ. ი. კალინინის სახელობის ქიმიური ქარხნის 99 მუშაკი, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: უფროსი მეაპარატე ვ. ს. ბეზბოროდოვი, მეაპარატე ვ. ნ. კოსტრუბა, ქარხნის დირექტორი ა. გ. პეტრიშჩევი და ზეინკალი პ. ა. პეტროვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 14 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 31, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 30 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 20 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

* *

*

მეორე მსოფლიო ომის წლებში ჰიტლერელმა ოკუპანტებმა დროებით დაიპყრეს ინგლისის ჯერსის კუნძული, რომელიც საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარეობს, და იქ შექმნეს საკონცენტრაციო ბანაკები საბჭოთა მოქალაქეებისა და სამხედრო ტყვეებისათვის. კუნძულზე მცხოვრებ ინგლისელთა ჯგუფი სიკვდილის საფრთხეს არ მოერიდა და რამდენიმე წლის მანძილზე ეხმარებოდა საბჭოთა ადამიანებს გაქცეულიყვნენ ფაშისტური ტყვეობიდან და ბევრს სიცოცხლე შეუნარჩუნა. სულ ცოტა ხნის წინათ დაწვრილებით გახდა ცნობილი ინგლისელ მოქალაქეთა გმირული საქმიანობა. ბევრი მათგანი

პარლამენტის ბიბლიოთეკა

გერმანელმა ფაშისტებმა დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს. ერთ-ერთი კი — ლუიზა გულდი გაზის კამერაში დაიღუპა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ სთხოვეს დიდი ბრიტანეთის მთავრობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის გულწრფელი მადლობა გადაეცათ ინგლისის ქვეშევრდომთათვის იმ მამაცობისა და ვაჟკაცობის გამო, რომელიც მათ გამოიჩინეს საბჭოთა მოქალაქეების და სამხედრო მოსამსახურეების გადარჩენის დროს ჯერსის კუნძულზე და დახმარებისათვის მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის პერიოდში.

ესენი არიან:

1. ჰაროლდ **ლე დრიულენეკი.**
2. ნორმან **ლე ბროკი.**
3. ლესლი **ჰიულენი.**
4. ავგუსტა **მეტკაფი.**
5. რენე **ლე მოტი.**
6. ოსვალდ **პალო.**
7. ლეონარდ **პერკინსი.**
8. ვილიამ **სარი.**
9. რობერტ **ლე სუერი.**
10. აივი **ფორსტერი.**
11. ალბერტ **ბიდეინი.**
12. კლავდია **დიმიტრიევა.**
13. მაიკ **ლე კორნიუ.**
14. რენე **ფრანი.**
15. ფრანსის **ჰემონი.**
16. ჯონ **ლე ბრეტონი.**
17. როისტონ **ჰარეტი.**
18. ფრანსის **ლე სუერი.**

აგრეთვე განსვენებული ლუიზა გულდისა და რობერტ მაკინსტრის ნათესავები.

დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩომ აცნობა საბჭოთა მთავრობას, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მადლობა გადასცა ინგლისელ ქვეშევრდომებს ჯერსის კუნძულზე საბჭოთა მოქალაქეებისა და სამხედრო მოსამსახურეების გადარჩენაში აქტიური მონაწილეობისათვის.

* *
*

საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით განხორციელებულ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ქალაქ ხელუანის კოქსქიმიური ქარხნის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდიუმმა 1965 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 15 საბჭოთა სპეციალისტი და მუშა, რომლებმაც გამოიჩინეს თავი.

**შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია მთავარი ინჟინერი, საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფის ხელმძღვანელი ს. ბ. კოტელნიკოვი.

**„საპატიო ნიშნის"** ორდენით დაჯილდოებულია 2 კაცი, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"** — და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"** — 7 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

* *
*

სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშების მომზადებაში მოპოვებული წარმატებების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა პროფესიულ-ტექნიკური განათლების 1188 მუშაკი, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: № 27 სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი მ. კ. კოგუტი, ალტაის მხარის პირველი მაისის რაიონი; № 5 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ა. ა. სოკოლოვი, ქალაქი არმავირი, კრასნოდარის მხარე; № 1 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ბ. მ. პოპოვი, ქალაქი ირკუტსკი; № 2 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროსი ოსტატი ა. პ. ავერინი, ქალაქი ლენინგრადი; № 10 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ნ. ვ. მონახოვი, ქალაქი მოსკოვი; № 5 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ვ. მ. ვოლკოვი, ქალაქი ჩელიაბინსკი; № 6 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი თ. ი. ტკაჩენკო, ქალაქი ხარკოვი; № 35 სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ვ. ნ. ლეონოვი, ქალაქი დუბროვნო, ვიტებსკის ოლქი; № 9 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი მ. ი. იბრაგიმოვი, ქალაქი ტაშკენტი; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ატბასარის № 59 სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ს. ერგალიევი, ცელინოგრადის ოლქი; № 4 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ტ. რ. კოხრეიძე, ქალაქი ქუთაისი, საქართველოს სსრ; № 29 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ბ. ა. ასლანოვი, ქალაქი ბაქო; № 4 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ი. ს. ჟაბასი, ქალაქი კაუნასი, ლიტვის სსრ; № 3 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ტ. ი. ბორდიანი, ქალაქი კიშინოვი; № 11 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწვლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი კ. ა. იაკობსონი, ქალაქი რიგა; № 10 საქალაქო პროფესიულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ს. ჯოლდოშევა, ქალაქი ფრუნზე. № 2 საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ა. მანონოვი, ქალაქი ლენინაბადი, ტაჯიკეთის სსრ, № 1 საქალქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ა. პ. კეჩიანი, ქალაქი ერევანი; № 2 სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ო. პირმედოვა, ქალაქი ტაშაუზი, თურქმენეთის სსრ; № 29 სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი ი. პ. მადი, რაპლას რაიონი, ესტონეთის სსრ და სხვები, სულ 52 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 183 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 296, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 342 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 315 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და ადგილობრივ პრესაში.

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

### უზბეკეთის სსრ

#### სამარყანდის რაიონის ცენტრის გადატანა

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 1 ივლისის ბრძანებულებით სამარყანდის ოლქის სამარყანდის რაიონის ცენტრი გადაიტანა ყიშლაღ ტაილაკიდან ყიშლაღ ულუგბეკში.

### ლიტვის სსრ

#### დაბების გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებად

ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულებით კლაიპედის რაიონის დაბა გარგჟდაი და აკმიანის რაიონის დაბა ნაუიოი-აკმიანე გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებად.

#### მუშათა ახალშენების გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებად და ნიჟნეილიმსკის რაიონის ცენტრის გადატანა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულებით გარდაქმნა ირკუტსკის ოლქის ნიჟნეილიმსკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის მუშათა ახალშენი ჟელეზნოგორსკი რაიონული დაქვემდებარების ქალაქად და უწოდა მას **ჟელეზნოგორსკ-ილიმსკი.**

ნიჟნეილიმსკის რაიონის ცენტრი გადატანილია სოფელ ნიჟნეილიმსკიდან ქალაქ **ჟელეზნოგორსკ-ილიმსკში.**

* * *

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულებით მურმანსკის ოლქის მუშათა ახალშენი კოვდორი გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.

ქალაქ კოვდორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო დაექვემდებარა კიროვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

## უზბეკეთის სსრ

### იანგიერის რაიონის გადარქმევა

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულებით სირდარიის ოლქის იანგიერის რაიონს უწოდა **ბაიაუტის** რაიონი.

9774.

## ნაწილი II

## განყოფილება პირველი

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 564 წყალტუბოსა და ამბროლაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ სასოფლო და სადაბო საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ წყალტუბოსა და ამბროლაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით.

ორივე რაიონის სასოფლო საბჭოები სესიებს იწვევენ კონსტიტუციურ ვადებში, სესიების განსახილველი საკითხების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი. აღსანიშნავია, რომ სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებანი ძირითადად კონკრეტული და საქმიანია და სათანადო კონტროლია დაწესებული მათ განხორციელებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული საბჭოების აღმასკომები სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკთა საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად პერიოდულად ატარებენ სემინარებს, თათბირ-საუბრებს, კონსულტაციებს. კერძოდ, წყალტუბოს რაიაღმასკომმა მაისში, ხოლო ამბროლაურის რაიაღმასკომმა ივნისში მოაწყვეს მათდამი დაქვემდებარებული საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნების ორდღიანი სემინარული მეცადინეობა, რომლის პროგრამა მოიცავდა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ყველა საკითხს. სათანადო ყურადღება ექცევა სოფლის ყრილობების მომზადებასა და ჩატარებას სოფლებისა და დაბების ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. წელს წყალტუბოს რაიონის თითქმის ყველა სასოფლო საბჭომ ჩაატარა სასოფლო ყრილობა, ხოლო წყალტუბოს საქალაქო საბჭომ — წარმომადგენელთა კრება (ორჯერ), სადაც განხილულ იქნა ქალაქის, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, განათლების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სხვა საკითხები. მიღებული გადაწყვეტილებები სწორად ასახავდნენ საქმის არსს და თვით მოსახლეობა ირაზმებოდა მათ განსახორციელებლად.

სასოფლო საბჭოებში ცუდად არ არის ორგანიზებული დეპუტატების მიერ მშრომელების მიღება, მათი განცხადებებითა და საჩივრებით აღძრული საკითხების დროულად მოგვარება. ასე მაგალითად, ამბროლაურის რაიონში ადგილობრივი საბჭოების 131 დეპუტატმა და წყალტუბოს რაიონში 167 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა და სათანადო ზომები განცხადება-საჩივრებით აღძრული საკითხების მოგვარებაში და ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებაში.

ამავე დროს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ წყალტუბოსა და ამბროლაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს სასოფლო და სადაბო საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ჯერ კიდევ აქვთ ხარვეზები. საბჭოების მუდმივი კომისიები ღებულობენ დამავალდებულებელ გადაწყვეტილებას და ამით არღვევენ დებულებას მუდმივი კომისიების შესახებ. ამბროლაურის რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები არ იხილავენ ამომრჩეველთა განაწესებს, რაც იწვევს ზოგიერთი განაწესის შეუსრულებლობას. მოუგვარებელია აღრიცხვა იმ წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნებისა, რომლებსაც სესიებზე აყენებენ დეპუტატები და მუდმივი კომისიები, პრაქტიკაში არ არის სესიებზე ინფორმაციები, თუ როგორ შესრულდა წინა სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

არის შემთხვევები, როცა სასოფლო საბჭოების სესიები იღებენ ზერელე გადაწყვეტილებებს (წყალტუბოს რაიონის მუხიანის მე-10 მოწვევის სასოფლო საბჭოს მე-3 სესიის გადაწყვეტილება).

ამბროლაურის რაიაღმასკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევს სოფლის ყრილობების ჩატარების საქმეს. რაიონის 17 სასოფლო საბჭოდან მიმდინარე წელს სასოფლო ყრილობა მხოლოდ ორმა ჩაატარა. ნაკლოვანებებია დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ ანგარიშების ჩაბარების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები სესიებისა და აღმასკომების სხდომების ოქმებს დროულად არ აგზავნიან რაიონული საბჭოების აღმასკომებში, ამის გამო ამ უკანასკნელთ საშუალება არა აქვთ დროულად გააანალიზონ მათი გადაწყვეტილებანი და მიუთითონ ნაკლზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ წყალტუბოსა და ამბროლაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გააუმჯობესონ საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებისადმი ხელმძღვანელობა, რისთვისაც:

ა) გააძლიერონ საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოებისა და მათი აღმასკომების პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად და წარმატებით ჩატარებისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში;

ბ) საჭიროების მიხედვით მოაწყონ სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, მდივნების, აგრეთვე მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების სემინარული მეცადინეობები, საუბრები, კონსულტაციები ისე, რომ იქვე მოაწყონ მოწინავე სასოფლო საბჭოების მუშაობის გამოცდილების განზოგადება;

გ) მიაღწიონ იმას, რომ ადგილობრივი საბჭოების ყველა მუდმივი კომისია დებულების შესაბამისად აქტიურად მონაწილეობდეს სესიებისა და აღმასკომების განსახილველი საკითხების მომზადებაში და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების საქმეში;

დ) უზრუნველყონ, რომ დეპუტატები რეგულარულად გამოდიოდნენ ამომრჩევლების წინაშე ანგარიშებით სესიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაცნობად და საჭირო ზომებს იღებდნენ ამ გადაწყვეტილებების განსახორციელებლად;

ე) დაავალდებულონ საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოები, რომ აღმასკომის სხდომებზე განიხილონ ამომრჩეველთა განაწესები, აგრეთვე სესიებზე გამოთქმული წინადადებები, კრიტიკული შენიშვნები და საჭირო ზომები მიიღონ მათ განსახორციელებლად;

ვ) უზრუნველყონ პერიოდულად სასოფლო ყრილობების ჩატარება დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაზე, გზების მშენებლობის, ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებაზე, აგრეთვე მაღაზიების, კლუბების, სამკითხველოების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მუშაობაზე და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მათი დაქვემდებარებული საბჭოებისა და აღმასკომების მუშაობისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი.

1965 წლის 24 სექტემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 565 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარების შესახებ

1965 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გააძლიერონ მზადება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის, უზრუნველყონ ყველა ღონისძიების გატარება არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით;

ბ) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალებით გააჩაღონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დებულების, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების საკითხებზე;

გააცნონ მოსახლეობას საბჭოთა სასამართლოს როლი და ამოცანები, მოქმედი კანონმდებლობა და სხვა აქტუალური საკითხები;

გ) ადგილობრივ პრესაში გააშუქონ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა, მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარება, მოსამართლეების მუშაობის გამოცდილება და სხვა;

დ) მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ სასამართლოს წყობილების კანონის მოთხოვნა ამომრჩევლებისათვის სახალხო მოსამართლეთა მიერ ანგარიშების ჩაბარების შესახებ;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებების აღრიცხვასა და განხილვას, არ დაუშვან, რომ ურეაგიროდ დარჩეს ამომრჩეველთა მიერ შემოტანილი წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს:

ა) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარებისადმი;

ზ) შეისწავლოს და განაზოგადოს მოწინავე სახალხო მოსამართლეთა მუშაობის გამოცდილება, პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მათ ანგარიშების ჩაბარების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი.
1965 წლის 24 სექტემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 566 ბავშვთა სარჩენი სახსრების (ალიმენტის) გადახდევინების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. პ. ე. ბერძენიშვილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ი. მაისურაძის მოხსენებები და პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მასალები, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები სათანადო ყურადღებას უთმობენ დედათა და ბავშვთა უფლებების და ინტერესების დაცვას, ძირითადად სწორად და დროულად განიხილავენ საქმეებს ალიმენტების გადახდევინების შესახებ და ასრულებენ ამ გადაწყვეტილებებს.

მიუხედავად ამისა სასამართლო ორგანოებს ბავშვთა სარჩენი სახსრების გადახდევინების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება გააჩნია.

სახალხო სასამართლოები ხშირად არ იცავენ ალიმენტის შესახებ სასარჩელო განცხადებების განხილვისათვის კანონით დადგენილ ვადებს, ასევე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სასამართლო სხდომების წინასწარ მომზადებას, რის გამოც ადგილი აქვს განსახილველი საქმეების გადადებასა და შეჩერებას.

სახალხო სასამართლოები არ იყენებენ სასამართლო პროცესს როგორც აღმზრდელობითი ზემოქმედების საშუალებას. ბავშვთა სარჩენის გადახდევინების შესახებ აღძრულ სარჩელებს არ განიხილავენ მოპასუხეთა სამუშაო ადგილებზე. სასამართლო პროცესებში ნაკლებად მონაწილეობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მიუხედავად კანონის პირდაპირი მითითებისა, სახალხო სასამართლოების მუშაკები ყოველთვის არ გადასცემენ სააღსრულებო ფურცლებს სასამართლო აღმასრულებლებს გადაწყვეტილების გამოტანის მეორე დღესვე.

მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოში მ. ბოჭორიშვილის მიმართ სააღსრულებო ფურცელი გადაცემულია თითქმის ერთი თვის დაგვიანებით.

ბიბლიოთეკა

სახალხო სასამართლოების ზოგიერთი გადაწყვეტილება შედგენილია ზოგადად, მასში არ არის ნაჩვენები მოპასუხის სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პროფესია, როლიდან ეკისრება ალიმენტის გადახდა.

სერიოზული ნაკლოვანებებია ალიმენტის გადახდევინების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების საქმეში. სახალხო მოსამართლეები და პროკურორები სათანადო ზედამხედველობასა და კონტროლს არ უწევენ სასამართლო აღმასრულებლების მუშაობას, რის გამოც ხშირია შემთხვევები, როდესაც სააღსრულებო ფურცლები, რომლებიც გადაეცა სასამართლო აღმასრულებლებს, დატოვებულია ყოველგვარი რეაგირების გარეშე ან დიდი დაგვიანებით გადაიგზავნება მოპასუხის სამუშაო ადგილზე.

მაგალითად, ბათუმის რაიონის სახალხო სასამართლოში მ. გენჯაძის მიმართ ალიმენტის გადახდევინების სააღსრულებო ფურცელი 1965 წლის 23 იანვრიდან სასამართლო აღმასრულებელთან არის, ხოლო ს. ზოიძის მიმართ სააღსრულებო ფურცელი ამავე სასამართლოში უმოძრაოდაა 1963 წლის 7 სექტემბრიდან.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოშ ვ. ნოვოკშელოვისაგან ალიმენტის დაკავების შესახებ სააღსრულებო ფურცელი ამავე რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში გაგზავნა ორი თვისა და 10 დღის დაგვიანებით. ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს ახალქალაქის, გალის, ვანის, ქობულეთის, ლაგოდეხის, გეგეჭკორის რაიონებისა და ქ. ფოთის სახალხო სასამართლოებში.

სასამართლო აღმასრულებლები ნაკლებად ამოწმებენ, თუ რამდენად კანონიერად უკავებენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ბუღალტერიის მუშაკები ბავშვების სარჩენ თანხებს მაშინ, როდესაც ბუღალტერიის ზოგიერთი მუშაკი ყოველთვის სწორად და დროულად არ უკავებს ალიმენტების თანხებს ან დაკავებულ თანხებს დიდი დაგვიანებით აგზავნის დანიშნულების ადგილზე, ანდა დროულად არ აბრუნებს სახალხო სასამართლოში სააღსრულებო ფურცელს სამუშაოდან მოვალის გათავისუფლებისას და სხვ.

მაგალითად, ქ. თბილისის მეორე ტრესტის დიეტური სასადილოს ბუღალტერიის დაუდევრობით მოქ. ლ. ლაჭავამ 6 თვის განმავლობაში ვერ მიიღო ორი ბავშვის სარჩენი ალიმენტი; ხულოს რაიონის კინოფიკაციის განყოფილების ბუღალტერმა განზრახ არ დაუკავა ხელფასიდან ალიმენტის თანხები მოქ. ჟ. კობალაძეს, რის გამოც წარმოიშვა 5 თვის დავალიანება, ხოლო თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობაში დაიკარგა ორი სააღსრულებო ფურცელი.

ბევრია შემთხვევა, როდესაც მშობელი თავს არიდებს ალიმენტის გადახდას. ამ მიზნით იცვლის საცხოვრებელ ადგილს ან სამუშაოს, ხოლო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოები არ იღებენ საჭირო ზომებს მათ მოსაძებნად. 1965 წლის 1-ლი აგვისტოსათვის აღძრული იყო 342 პირის ძებნა, აქედან მოიძებნა 156 კაცი. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქ. თბილისის კალინინის, ახალქალაქის, სამტრედიის, სიღნაღის, ბორჯომის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მილიციის განყოფილებები.

მუხ. 566

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოები ჯერ კიდევ ნაკლებ ზედამხედველობას და ქმედით დახმარებას უწევენ სახალხო სასამართლოებს ბავშვთა სარჩენი სახსრების გადახდევინების საქმეების განხილვასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა დროულად აღსრულებაში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების უმრავლესობა არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს და არ რაზმავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დეპუტატებსა და ფართო საზოგადოებრიობას ბავშვებისათვის ალიმენტების გადახდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს (ამხ. ვ. ი. მაისურაძე) დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სახალხო სასამართლოების საქმიანობისადმი დედათა და ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების ყოველმხრივი დაცვის, ბავშვთა სარჩენის გადახდევინების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დროული აღსრულებისათვის;

ბ) მეტი ყურადღება დაუთმოს სახალხო სასამართლოებში ალიმენტების გადახდევინების შესახებ სასამართლო სხდომების წინასწარ მომზადებას, მათ განხილვას კანონით დადგენილ ვადებში. სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი მნიშვნელობის ამაღლებას და გადაწყვეტილებათა სრულყოფილად შედგენას;

გ) მიაღწიოს იმას, რომ სახალხო სასამართლოები დროულად აგზავნიდნენ სააღსრულებო ფურცლებს დანიშნულებისამებრ, პერიოდულად ამოწმებდნენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ალიმენტების თანხის დაქვითვის კანონიერებას;

დ) აამაღლოს სასამართლო აღმასრულებლების პასუხისმგებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე ალიმენტის დროული გადახდევინება და მოსარჩელეებისათვის მათი დროული გადაგზავნა;

ე) საქართველოს სსრ პროკურატურასთან ერთად პერიოდულად შეისწავლოს და განაზოგადოს სახალხო სასამართლოებში ბავშვების სარჩენი სახსრების (ალიმენტების) გადახდევინების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მდგომარეობა.

2. საქართველოს სსრ პროკურატურამ (ამხ. პ. ე. ბერძენიშვილი) კიდევ უფრო გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა სახალხო სასამართლოებში ალიმენტების საქმეების განხილვისა და ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების დროულად აღსრულებისადმი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს (ამხ. ე. ა. შევარდნაძე) გაატაროს უფრო ეფექტური ღონისძიებები იმ პირების მოსაძებნად, რომლებიც თავს არიდებენ ბავშვების სარჩენი

ეროვნული

თანხების გადახდას; უზრუნველყოს, რომ საპატიმრო ადგილების ადმინისტრაციამ მსჯავრდებულებს დროულად გადაახდევინოს ალიმენტი და გაგზავნოს იგი დანიშნულებისამებრ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

ა) პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ საბჭოების სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე ბავშვთა სარჩენი სახსრების გადახდევინების მდგომარეობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები დედათა და ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად;

ბ) შექმნან შეურიგებლობისა და საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფერო ალიმენტის ურჩ გადამხდელთა მიმართ;

გ) უფრო აქტიურად ჩააბან ფართო საზოგადოებრიობა, მშრომელთა კოლექტივები და თვითმოქმედი ორგანიზაციები საბჭოთა ოჯახის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი.
1965 წლის 24 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 567 ხობის რაიონის ქარიატის სასოფლო საბჭოდან სოფელ ყულევის გამოყოფისა და ყულევის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ხობის რაიონის ქარიატის სასოფლო საბჭოს სოფელი ყულევი და შეიქმნას ყულევის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ყულევში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 568 თერჯოლის რაიონის ტყიბულჰესის მუშათა დასახლების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გაუქმდეს თერჯოლის რაიონის ძევრის სასოფლო საბჭოს ტყიბულჰესის მუშათა დასახლება ტყიბულჰესის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 569 საქართველოს სსრ ქარელის რაიონის აბისის სასოფლო საბჭოდან სოფლების ფცის, თამარაშენის და ღოღეთის გამოყოფისა და ქვენატკოცის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ქარელის რაიონის აბისის სასოფლო საბჭოს სოფლები: ფცა, თამარაშენი, ღოღეთი და გადაეცეს ამავე რაიონის ქვენატკოცის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 570 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1965 წლის 19 ოქტომბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 4 ოქტომბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 571 ამხ. ვ. ს. ქვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვიქტორ სტეფანეს ძე ქვარაცხელია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 24 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 572 ამხ. პ. გ. შუშანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაბადების სამოცდაათი წლისთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი პლატონ გიორგის ძე შუშანია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 25 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 573 ამხ. ს. გ. კობალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი ამხ. სერგი გიორგის ძე კობალაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 27 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 574 ამხ. შ. ვ. ეგნატაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი ამხ. შოთა ვასილის ძე **ეგნატაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 27 სექტემბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 575 რიგის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისში 1965 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **რიგის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1965 წლის 29 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 576 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:**

1. ვაჟა ასლანის ძე **ნოდიას** — კულტურის რესპუბლიკური სახლის დირექტორს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:**

1. აკაკი ბართლომეს ძე **წილოსანს**—ბათუმის № 1 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

2. გრიგოლ იოსების ძე **წულაძეს** — თბილისის № 32 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

3. გიორგი ალექსანდრეს ძე **წურკავას** — რუსთავის № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორისა:**

1. ალექსანდრე იასონის ძე **ოყროშიძეს** — სურამის № 14 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

2. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ჯიბუტს** — სურამის № 14 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტისა:**

1. კაპიტონ ესტატეს ძე **ლოლუას** — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მომარაგება-გასაღების რესპუბლიკური კანტორის მმართველს.

**საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლისა:**

1. რუბენ კონსტანტინეს ძე **ბაზუხს** — თბილისის № 6 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.

2. შალვა დოროთეს ძე **ბაძალუას** — თბილისის № 38 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

3. იოსებ იოსების ძე **ბერეჟიანს** — თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

4. გრიგოლ ანდრიას ძე **ბიბილაშვილს** — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მასწავლებელს.

5. ნინო ერისტოს ასულ **გერაძეს** — ქუთაისის № 42 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

6. აკაკი ალექსის ძე **გვალიას** — სურამის № 14 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

7. რუბენ სერგოს ძე **გიორგიზოვს** — გარდაბნის № 10 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს .

8. ოქრო ივანეს ძე **გიუნაშვილს** — თბილისის № 34 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

9. იპოლიტე ათანასეს ძე **თოდუას** — სამტრედიის № 28 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

10. შალვა იოსების ძე **კირთაძეს** — ქუთაისის № 37 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

11. ანატოლ ნიკოლოზის ძე **მახვილაძეს** — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.

12. დავით ბაგრატის ძე **პაპოვიანს** — თბილისის № 32 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

13. ოთარ აკაკის ძე **ჩიხლაძეს** — თბილისის № 18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

14. ივანე დიმიტრის ძე **ცაგარეიშვილს** — ქუთაისის № 4 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.

15. აკაკი ალექსანდრეს ძე **ჯვარელიას** — თბილისის № 32 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის თანაშემწეს.

16. დიმიტრი მიხეილის ძე **ჯიქიას** — წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

**საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა:**

1. კონსტანტინე სევერიანეს ძე **ამაშუკელს** — თბილისის № 32 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.

2. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ბახტაძეს** — წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.

3. ვახტანგ ივანეს ძე **დეკანოზიშვილს** — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის ოსტატს.

4. დავით ივანეს ძე **მაჭარაძეს** — წულუკიძის № 9 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატს.

5. ნინო ვლადიმერის ასულ **მოსაშვილს** — წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

6. შოთა ვლადიმერის ძე **სეხნიაშვილს** — თბილისის № 38 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატს.

7. ნიკოლოზ ტიმოთეს ძე **ფროლოვს** — თბილისის № 6 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატს.

8. იოსებ სამსონის ძე **ჩიხლაძეს** — თბილისის № 5 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.

9. ანდრო დავითის ძე **ჩხენკელს** — ტყიბულის № 24 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

10. ბეჟან დომენტის ძე **წერეთელს** — ჭიათურის № 20 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

11. კონსტანტინე აბრამის ძე **ხიმონიდს** — რუსთავის № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარისა:**

1. ზინა დიმიტრის ასულ **დავითულიანს** — თბილისის № 5 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბიბლიოთეკის გამგეს.
2. სოფიო ლევანტის ასულ **ჭკუასელს** — თბილისის № 35 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბიბლიოთეკის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 4 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 577 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს **სსრ უმაღლესი საბჭო სპრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. დიმიტრი სარდიონის ძე **აბულაძე** — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
2. მარია იაკობის ასული **არაქელოვა** — ქ. თბილისის № 35 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.
3. გრიგოლ მინას ძე **ბაქრაძე** — თბილისის № 35 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.
4. ივანე ივლიანეს ძე **ბიბილეიშვილი** — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორი.
5. კონსტანტინე სოლომონის ძე **გაბელია** — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ბუღალტერი.
6. პიმენ პლატონის ძე **გელბახიანი** — თბილისის № 23 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.
7. ვალერიან ვარდენის ძე **გოცირიძე** — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლო მეთოდური კაბინეტის გამგე.
8. ვლადიმერ გიორგის ძე **გუბათიანი** — თბილისის № 18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის თანაშემწე.
9. სარდიონ ნესტორის ძე **დემიევი** — სურამის № 14 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.
10. დავით ლუკას ძე **ვეკუა** — თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროსი ბუღალტერი.
11. მიხეილ სტანისლავის ძე **ვოიტკევიჩი** — სამტრედიის № 28 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე.

მუზ. 577
ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ირაკლი სამსონის ძე **იოსელიანი** — ტყიბულის № 19 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

13. გიორგი ალექსანდრეს ძე **კახაძე** — ქუთაისის № 4 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

14. თამარ დავითის ასული **კიკნაძე** — თბილისის № 35 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

15. გიორგი იოსების ძე **კობახიძე** — თბილისის კამოს სახელობის სასწავლო-თვალსაჩინოებათა ქარხნის ხარატი.

16. ხახული ნოეს ძე **კოხრეიძე** — თბილისის № 32 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

17. მიხეილ ივანეს ძე **კუზმინი** — თბილისის კამოს სახელობის სასწავლო-თვალსაჩინოებათა ქარხნის მღარავი.

18. დავით მიხეილის ძე **ლალიძე** — ველისციხის № 13 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

19. შალვა მიხეილის ძე **ლეჟავა** — ქუთაისის № 4 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

20. კონსტანტინე ირაკლის ძე **მანჯგალაძე** — ბათუმის № 1 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

21. გაიოზ ირაკლის ძე **მაჩიტიძე** — ქუთაისის № 33 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

22. პეტრე გიორგის ძე **მაჭარაძე** — წულუკიძის № 9 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

23. ქეთევან რუბენის ასული **მელუა** — ქუთაისის № 42 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

24. კონსტანტინე ტრიფონის ძე **მიქიაშვილი** — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

25. გიორგი ასლანის ძე **ნოდია** — ქუთაისის № 4 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

26. ბიჭიკო ბართლომეს ძე **რეხვიაშვილი** — ტყვარჩელის № 22 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

27. შოთა პოლიკარპეს ძე **რუხაძე** — ფოთის № 12 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

28. გრიგოლ დიმიტრის ძე **სილაგავა** — წულუკიძის № 9 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

29. დიმიტრი სევერიონის ძე **ტაბიძე** — წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

30. ვერა ილიას ასული **ფეოკტისტოვა** — თბილისის № 27 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

31. გიორგი დიმიტრის ძე **ქაშაკაშვილი** — ჭიათურის № 20 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

32. ივანე ნესტორის ძე **შავდია** — თბილისის № 31 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის თანაშემწე.

33. აბესალომ კონსტანტინეს ძე **ჩეჩელაშვილი** — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ინსპექტორი.

34. სიმონ კონსტანტინეს ძე **ცერცვაძე** — რუსთავის № 16 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

35. ივანე ანტონის ძე **წიკლაური** — თბილისის № 5 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

36. დავით ნიკოლოზის ძე **ხაზარაძე** — ქუთაისის № 21 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

37. შოთა აბრამის ძე **ჯანგულაშვილი** — ხიდისთავის № 15 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1965 წლის 4 ოქტომბერი.

## განყოფილება მესამე

## **საინფორმაციო ცნობა**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 566 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 52 |
| ქ. გორიდან | | 6 |
| ქ. რუსთავიდან | | 8 |
| ქ. ფოთიდან | | 2 |
| ამბროლაურის | რაიონიდან | 7 |
| ახალქალაქის | „ | 30 |
| ბორჯომის | „ | 6 |
| დმანისის | „ | 44 |
| გორის | „ | 13 |
| გეგეჭკორის | „ | 20 |
| ზესტაფონის | „ | 9 |
| ზუგდიდის | „ | 6 |
| თეთრიწყაროს | „ | 21 |
| თელავის | „ | 14 |
| თერჯოლის | „ | 12 |
| თიანეთის | „ | 5 |
| ლაგოდეხის | „ | 57 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ლანჩხუთის | „ . . . | 1 |
| მაიაკოვსკის | „ . . . | 18 |
| მარნეულის | „ . . . | 50 |
| ონის | „ . . . | 4 |
| საჩხერის | „ . . . | 12 |
| ყაზბეგის | „ . . . | 3 |
| ყვარლის | „ . . . | 15 |
| ცაგერის | „ . . . | 9 |
| ცხაკაიას | „ . . . | 9 |
| წალკის | „ . . . | 17 |
| წულუკიძის | „ . . . | 7 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | . . . . . | 109 |